



USAID | **GEORGIA**
FROM THE AMERICAN PEOPLE



Governing for
Growth
in Georgia

ბიზნესის დამოკიდებულება საგადასახადო სისტემისადმი საქართველოში

BUSINESS' ATTITUDES TOWARDS TAX SYSTEM IN GEORGIA

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტი
“მმართველობა განვითარებისთვის“ (USAID G4G)

10 მაისი, 2016

ამ ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით გაწეული დახმარების შედეგად. მის შინაარსზე პასუხისმგებელია „დელოიტ ქონსალტინგი“. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს USAID-ის ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის პოზიციას.

ბიზნესის დამოკიდებულება საგადასახადო სისტემისადმი საქართველოში

BUSINESS' ATTITUDES TOWARDS TAX SYSTEM IN GEORGIA

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტი
„მმართველობა განვითარებისათვის“

კონტრაქტის ნომერი: AID-114-C-14-00007

„დელოიტ ქონსალტინგი“

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო | საქართველო

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს საკონტრაქტო
ოფიცრის წარმომადგენელი: რევაზ ორმოცაძე

ავტორი(ები): CRRC-საქართველო

ავტორი: CRRC-GEORGIA

საგადასახადო კოდექსის მიმოხილვა: 5320

ენა: ქართული

10 მაისი, 2016

შენიშვნა:

ამ ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით გაწეული დახმარების შედეგად. მის შინაარსზე პასუხისმგებელია „დელოიტ ქონსალტინგი“. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება, არ ემთხვეოდეს USAID-ის ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის პოზიციას.

მონაცემები

რედაქტორი:	მაია დაიაური, ნინო ჩოხელი
პროექტის კომპონენტი:	მთავრობის შესაძლებლობების განვითარება
სფერო:	საგადასახადო კოდექსის მიმოხილვა
საკვანძო სიტყვები:	კვლევა, საგადასახადო პოლიტიკა, საგადასახადო ადმინისტრირება

აბსტრაქტი

გამოკითხული კომპანიების დამოკიდებულება შემოსავლების სამსახურის საქმიანობისა და მისი სერვისებისადმი უმეტესწილად დადებითია. თუმცა, გამოკითხულთა დიდმა ნაწილმა გამოთქვა საგადასახადო კანონმდებლობის გაუმჯობესების სურვილი. ამათგან 80% საგადასახადო კოდექსის გამარტივებას (ბუნდოვანი დებულებების შეცვლას ისეთი სახით, რაც სხვადასხვა ინტერპრეტაციის საშუალებას არ იძლევა) და გადასახადების მოცულობისა და რაოდენობის შემცირებას ისურვებდა. ზოგადად, გადასახადების სიმძიმეს კომპანიების ნახევარზე მეტი (55%) საშუალოდ აფასებს, თუმცა, საგადასახადო ტვირთს განსაკუთრებით მწვავედ აღიქვამენ ის კომპანიები, რომლებიც მოგების, დამატებული ღირებულებისა და იმპორტის გადასახადებს იხდიან. აღნიშნული შედეგის ინტერპრეტაციისას აუცილებელია გათვალისწინებული იყოს ის ფაქტი, რომ საქართველო რეგიონში ყველაზე მცირე საგადასახადო ტვირთით გამოირჩევა.¹

აღსანიშნავია, რომ საგადასახადო შემოწმებებისათვის დახარჯული დრო და ჯარიმების ოდენობა უარყოფით გავლენას არ ახდენს კომპანიების მიერ სისტემის ზოგად შეფასებაზე. დასახელება მხოლოდ ორი შემთხვევა, როდესაც შემოწმების გამო საწარმოებს პრობლემა შეექმნათ (გაეზარდათ საურავი). თუმცა, საგადასახადო შემოწმებების (იგულისხმება როგორც აუდიტი, ასევე მიმდინარე კონტროლის ღონისძიებები) არსებული² და სასურველი სიხშირე (სამ ან მეტ წელიწადში ერთხელ) წინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან.

აქვე უნდა ითქვას, რომ სტაბილურობა კომპანიებისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანია. კერძოდ, ის საწარმოები, რომლებიც თვლიან, რომ საგადასახადო კოდექსი ბოლო წლის განმავლობაში ნაკლებად იცვლებოდა, უფრო პოზიტიურად აფასებენ შემოსავლების სამსახურის მუშაობას.

საკმაოდ დადებითად შეფასდა შემოსავლების სამსახურის მიერ შეთავაზებული სერვისებიც. გამოიკვეთა რიგი სერვისები, რომლებსაც ყველაზე აქტიურად მოიხმარენ საწარმოები, კერძოდ: ცხელი ხაზის (2 299 999), ელექტრონული ფოსტითა და სერვის ცენტრის მომსახურება, ასევე წინასწარი დეკლარირება დოკუმენტის გაფორმების ეკონომიკურ ზონაში მიტანით და საქონლის საბაჟო დეკლარირება მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით. დანარჩენი სერვისების მოხმარების დონე შედარებით დაბალია.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ მოყვანილი შეფასებები ნაკლებად განსხვავდება დიდ, მცირე და საშუალო საწარმოებს შორის. სხვაობა უფრო მეტად შეინიშნება არა დამოკიდებულებებში, არამედ ჩართულობაში. ანალიზის შედეგად ცხადი ხდება, რომ საშუალო და მცირე ზომის ინდივიდუალური მეწარმეები, ნაკლებად არიან ჩართული საგადასახადო კანონმდებლობასთან დაკავშირებულ ცვლილებებში და ღონისძიებებში.

¹ <http://www.forbes.com/global/2009/0413/034-tax-misery-reform-index.html> http://www.photius.com/rankings/tax_burden_country_ranks_2009.html

² უმეტესად წელიწადში ერთხელ, თუმცა, გვხვდება უფრო ხშირი შემთხვევებიც. გასათვალისწინებელია, რომ აქ აგრეთვე იგულისხმება მიმდინარე კონტროლის ღონისძიებებიც, რომლის სიხშირეც, ბუნებრივია, უფრო მეტია, ვიდრე აუდიტის.

ისინი ნაკლებად მონაწილეობენ საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილების პროცესში, შემოსავლების სამსახურის მიერ გამართულ ღია კარის დღეებზე, გამომჟღავნდა რომ, ისინი ყველაზე ნაკლებად ასაჩივრებენ დაკისრებულ საურავებს და მათი თანამშრომლებისთვის ყველაზე ნაკლებად არის ხელმისაწვდომი საგადასახადო საკითხებზე ტრენინგები და სემინარები.

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ შერჩევაში მოხვედრილი კომპანიებიდან ექსპორტით 14%-ია დაკავებული, ხოლო იმპორტით კი გაცილებით მეტი - 39%. ექსპორტში ჩართული საწარმოების ასევე ძალიან მცირე ნაწილი იყენებს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებულ სავაჭრო რეჟიმს, რის მიზეზსაც აღნიშნულისადმი მათი დაბალი ინტერესი წარმოადგენს. ამას მიღებული მონაცემები ცხადყოფს: ექსპორტიორი კომპანიების 46% აცხადებს, რომ აღნიშნული საკითხით დაინტერესებული არ არის. სამწუხაროდ, მოცემული კვლევის ფარგლებში შეუძლებელია დავადგინოთ, რა განაპირობებს კომპანიების მხრიდან ინტერესის ასეთ ნაკლებობას ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების მიმართ.

აკრონიმები

აშშ	ამერიკის შეერთებული შტატები
მზპ	მთლიანი შიდა პროდუქტი
CAPI	Computer Assisted Personal Interviewing
DCFTA	Deep and Comprehensive Free Trade Agreement
ODK	Open Data Kit
G4G	Governing for Growth in Georgia
USAID	United States Agency for International Development

სარჩევი

მონაცემები	1
აბსტრაქტი	2
აკრონიმები	4
სარჩევი	5
შესავალი.....	6
1. კომპანიების დახასიათება.....	7
2. ქვეყანაში არსებული საგადასახადო სისტემის ზოგადი შეფასება.....	11
3. კომპანიების დამოკიდებულება შემოსავლების სამსახურის საქმიანობისადმი	17
4. საგადასახადო შემოწმებები	21
5. იმპორტთან და ექსპორტთან დაკავშირებული საკითხები	26
დასკვნა	30
დანართი ა. კვლევის მეთოდოლოგიის აღწერა	31
დანართი ბ. კვლევაში გამოყენებული ცვლადების სიხშირეების განაწილება	32

შესავალი

საგადასახადო სისტემის კვლევის მიზანია, შეისწავლოს ქართული ბიზნესის დამოკიდებულება ქვეყანაში არსებული საგადასახადო სისტემის მიმართ. კერძოდ, იგი მოიცავს შემდეგ საკვლევ საკითხებს: საქართველოს შემოსავლების სამსახურის მუშაობის შეფასება, მათ მიერ მიწოდებული სერვისების გამოყენების დონე, საგადასახადო ინსპექტირების პრაქტიკა, შემოსავლების სამსახურისა და ბიზნესის თანამშრომლობის სხვა ძირითადი ასპექტების ანალიზი.

გამოკითხვაში მონაწილეობა 1033 კომპანიამ მიიღო. კვლევაში მონაწილე სუბიექტები დაყოფილია მცირე, საშუალო და დიდ ბიზნესად და მონაცემები რეპრეზენტატულია თითოეული ჯგუფისათვის. მოცემული კვლევისთვის კომპანიების შერჩევა მოხდა შემთხვევითობის პრინციპით საქართველოში დარეგისტრირებული კომპანიების სრული სიიდან, რომელიც საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა მოგვარწოდა. კომპანიების შერჩევა არ მომხდარა მათი ადგილმდებარეობის გათვალისწინებით ან მათი ურთიერთობის გამოცდილებით საგადასახადო ინსპექციასთან (მაგალითად იმის მიხედვით ქონდათ თუ არ ქონდათ წარსულში პრობლემები შემოსავლების სამსახურთან). კვლევის შედეგები აგრეგირებულ მონაცემთა ანალიზს ემყარება და ქვეყანაში არსებულ ზოგად სურათს აჩვენებს იმის თაობაზე, თუ როგორ აღიქვამენ ქართული კომპანიები შემოსავლების სამსახურს და ზოგადად, საგადასახადო პოლიტიკას.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ კომპანიების დიდი ნაწილი კმაყოფილია შემოსავლების სამსახურის საქმიანობით. მათი ძირითადი პრობლემები უფრო ზოგადი მნიშვნელობის საკითხებს უკავშირდება (მაგ., გადასახადების შემცირებას), ვიდრე უშუალოდ შემოსავლების სამსახურის საქმიანობას. რამდენიმე შემთხვევაში გამოვლინდა გარკვეული პრობლემები საგადასახადო ინსპექციასთან, თუმცა მოცემული კვლევის ფარგლებში არ მოხერხდა ამ პრობლემების საფუძვლიანი შესწავლა. შემდგომში კვლევამ სასურველია შეისწავლოს ეს პრობლემური შემთხვევები და სიღრმისეულად შეისწავლოს რა სახის პრობლემებს ხვდებიან კომპანიები შემოსავლების სამსახურთან და საგადასახადო პოლიტიკასთან დაკავშირებით.

ანგარიშის კითხვისას გათვალისწინებულ უნდა იქნას, რომ მოცემული კვლევა არ წარმოადგენს კანონმდებლობის მიმოხილვას ან არსებული საგადასახადო პრაქტიკის სიღრმისეულ ანალიზს, არამედ ეყრდნობა გამოკითხვის მონაცემებს და შესაბამისად საუბრობს საქართველოში არსებული კომპანიების აღქმაზე, რომელიც გარკვეულწილად შეიძლება განსხვავდებოდეს რეალობისგან.

კვლევა განხორციელდა USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტის „მმართველობა განვითარებისათვის“ (G4G) ინციატივით კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის მიერ. საველე სამუშაოები მიმდინარეობდა 2015 წლის 21 სექტემბრიდან 13 ნოემბრამდე. გამოკითხვა ჩატარდა პირისპირ ინტერვიუების მეთოდით, CAPI-ის (Computer Assisted Personal Interviewing) გამოყენებით. (კვლევაში გამოყენებული მეთოდოლოგიის დეტალური აღწერისათვის იხ. დანართი ა).

1. კომპანიების დახასიათება

საქართველო განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყანაა. შესაბამისად, კერძო სექტორის განვითარება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს. ქვეყანაში ძალიან მცირეა მრეწველობით დაკავებული ბიზნესის წილი. კომპანიების დიდი ნაწილი დაკავებულია ვაჭრობით და სერვისით. მიუხედავად ხელისუფლების გაცხადებული სტრატეგიისა, კვლავაც პრობლემად რჩება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება. მცირე და საშუალო საწარმოების რაოდენობა, მართალია, იზრდება, თუმცა, მათი წვლილი დასაქმების, მთლიანი შიდა პროდუქტისა და საერთო ბრუნვის მაჩვენებლებში ჯერ კიდევ დაბალია.³

კვლევის შედეგების წარმოდგენას გამოკითხული კომპანიების ზოგადი დახასიათებით ვიწყებთ, რომელიც, როგორც ანალიზის პროცესში გამოჩნდება, ქვეყანაში არსებული ზოგადი სურათის ანარეკლია. კომპანიები ბრუნვისა და თანამშრომლების რაოდენობის მიხედვით დაყოფილია სამ ჯგუფად: დიდი, მცირე და საშუალო ზომის ბიზნესი.⁴ საშუალო და დიდი ზომის კომპანიები თითქმის თანაბრად არიან წარმოდგენილი გამოკითხვაში (41% და 38% შესაბამისად), ხოლო მცირე ზომის ბიზნესი გამოკითხული ერთობლიობის 21%-ს შეადგენს.

გამოკითხული კომპანიებიდან 41% საშუალო, 38% დიდი, ხოლო 21% მცირე ზომის ბიზნესია. მათი უმეტესი ნაწილი (78%) შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა. საქმიანობის სფეროს მიხედვით კი ძირითადად ვაჭრობისა და სერვის სექტორის წარმომადგენლები ჭარბობენ.

აღსანიშნავია, რომ გამოკითხული საწარმოები სამართლებრივი სტატუსის მხრივ მეტ-ნაკლებად ერთგვაროვან ჯგუფს წარმოადგენენ. მათი უმრავლესობა (79%) შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა (შპს). მცირე ნაწილს წარმოადგენენ ინდივიდუალური


მეწარმეები (15%). რაც შეეხება საქმიანობის ზოგად სფეროებს, გამოკითხული კომპანიები ძირითადად ვაჭრობისა (44%) და სერვისის (40%) სფეროს წარმოადგენენ, დანარჩენი (16%) კი წარმოების სექტორში მოღვაწეობს.⁵

თუ საქმიანობის სფეროს უფრო დეტალურად შევისწავლით, ვნახავთ, რომ ვაჭრობის გარდა, რომელიც უპირობოდ დომინანტურ სფეროს წარმოადგენს, კომპანიების უმრავლესობა დაკავებულია სხვადასხვა სახის სერვისის მიწოდებით (11%), საკვები პროდუქტების წარმოებით (7%) და მშენებლობით (6%) (იხ. დიაგრამა 1). კომპანიების მცირე ჯგუფს საქმიანობის დამატებითი სფეროებიც გააჩნია. მათ შორის ლიდერობს

³ http://geostat.ge/?action=page&p_id=211&lang=geo
⁴ ამ კვლევის მიზნებისათვის საწარმოების ზომებად დაყოფა შემდეგი პრინციპის მიხედვით განხორციელდა: დიდი ბიზნესი - 1 500 000 ლარი ან მეტი ბრუნვა ან 100 ან მეტი დასაქმებული; საშუალო ბიზნესი - 500 000-დან - 1 500 000 ლარამდე ბრუნვა ან 20-დან 100-მდე დასაქმებული; მცირე ბიზნესი - 500 000 ლარამდე ბრუნვა ან 20-მდე დასაქმებული; იმ შემთხვევაში, თუ საწარმო თანამშრომლების რაოდენობის მიხედვით ერთ კატეგორიაში ექცევა, ხოლო ბრუნვის მიხედვით სხვა კატეგორიაში, უპირატესობა ენიჭება ბრუნვის მაჩვენებელს;
⁵ ვაჭრობის სფეროში გაერთიანებულია კომპანიები, რომლებმაც საქმიანობის სფეროდ პირდაპირ „ვაჭრობა“ დაასახელეს. „სერვისის“ ჯგუფში კი იგულისხმება კომპანიები, რომლებმაც საქმიანობის სფეროდ სხვა მომსახურებები დაასახელეს (დეტალური ინფორმაციისათვის იხ. დანართი ბ).

მშენებლობა, რომელიც დამატებითი საქმიანობის სფეროდ კომპანიების 4%-მა დაასახელა (საქმიანობის სფეროების შესახებ დეტალური ინფორმაციისათვის იხ. დანართი ბ)

დიაგრამა 1: კომპანიების განაწილება საქმიანობის სფეროების მიხედვით (%)



არსებობს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი⁶ კავშირი კომპანიების ზომასა და საქმიანობის სფეროს შორის. მაგალითად, ვაჭრობის სფეროში ჭარბობს საშუალო (40%) და დიდი ზომის (40%) კომპანიები, ძირითადად იმის ხარჯზე, რომ აღნიშნული სფერო იმპორტსაც მოიცავს. სასტუმრო და სარესტორნო საქმეში ძირითადად მცირე (44%) და საშუალო კომპანიებია (41%) წარმოდგენილი. იგივე მდგომარეობაა ტრანსპორტისა და ლოჯისტიკის სფეროში, სადაც მცირე და საშუალო საწარმოებს შესაბამისად 44% და 40% უჭირავთ.

ინდივიდუალური მეწარმეების უმეტესი ნაწილი, როგორც მოსალოდნელი იყო, მცირე და საშუალო საწარმოა, ხოლო შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოები უფრო მეტად - საშუალო და დიდი კომპანიები. ინდივიდუალური მეწარმეები ძირითადად სხვადასხვა სახის ვაჭრობით არიან დაკავებული, ხოლო შპს-ებში ჭარბობს სხვა ტიპის სერვისები. ამავდროულად, კომპანიების 95% არცერთი ბიზნესგაერთიანების წევრი არ არის და 90%-ს არ გააჩნია რაიმე სპეციალური სტატუსი. ბიზნეს ასოციაციებში სულ გაწევრიანებულია 53 კომპანია, მათ შორის ყველაზე ნაკლებია მცირე (6) და საშუალო (11) ბიზნესის წილი.⁷

ადამიანური რესურსი ფინანსურ საკითხებში

2014 წლის განმავლობაში, გამოკითხული კომპანიების აბსოლუტურ უმრავლესობაში (97%) საბუღალტრო და საგადასახადო საკითხებზე ერთიდან ექვს ადამიანამდე

⁶ Chi square (1, N=1017)=48.04, p= .001

⁷ გამოკითხული კომპანიებიდან მხოლოდ ერთი საწარმოა მცირე და საშუალო ბიზნესის ასოციაციის წევრი.


მუშაობდა. კერძოდ, კომპანიების 57%-ში აღნიშნული საქმიანობით მხოლოდ ერთი ადამიანი იყო დაკავებული.

არსებობს ლოგიკური კავშირი კომპანიების ზომასა და ადამიანურ რესურსს შორის: თუკი მცირე საწარმოების 86%-ს საშუალოდ ერთი თანამშრომელი ჰყავს ფინანსურ განყოფილებაში, საშუალო ზომის საწარმოში ძირითადად 4, დიდ კომპანიებში კი საშუალოდ 4-ზე მეტი თანამშრომელი მუშაობს საბუღალტრო და ფინანსურ საკითხებზე.

კომპანიების 45% აღნიშნავს, რომ მათი თანამშრომლებისთვის ყოველთვის ხელმისაწვდომია საგადასახადო საკითხებთან დაკავშირებულ შეხვედრებში, კონფერენციებში და სასწავლო პროგრამებში მონაწილეობა (იხ. დიაგრამა 2). ეს უკანასკნელი ძირითადად საშუალო და დიდი

კომპანიების აბსოლუტურ უმრავლესობაში (97%) ფინანსურ საკითხებზე ერთიდან ექვს ადამიანამდე მუშაობს. აღნიშნული თანამშრომლებისათვის, საგადასახადო საკითხებთან დაკავშირებული კონფერენციები და სასწავლო პროგრამები უმეტესად ხელმისაწვდომია. მიუხედავად ამისა, საწარმოების 60% თვლის, რომ ფინანსურ და საბუღალტრო საკითხებზე მომუშავე კოლეგები კვალიფიკაციის ამაღლებას საჭიროებენ.

დიაგრამა 2: კომპანიების ხელმისაწვდომობა საგადასახადო საკითხებთან დაკავშირებულ კონფერენციებსა და სასწავლო პროგრამებზე (%)



ზომის შპს-ები არიან. ხოლო ის მცირე ნაწილი (10%), რომელიც აცხადებს, რომ მსგავსი ღონისძიებები საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი ძირითადად მცირე და საშუალო ზომის ინდივიდუალურ მეწარმეებს წარმოადგენენ სერვისისა და ვაჭრობის სფეროში. მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხული ორგანიზაციების მხოლოდ 15% თვლის, რომ საგადასახადო საკითხებთან დაკავშირებულ კონფერენციებსა თუ სასწავლო პროგრამებში მონაწილეობა არაა ხელმისაწვდომი, საწარმოების უმეტესი ნაწილი (60%-ზე მეტი) ასევე მიიჩნევს, რომ მათი თანამშრომლებისთვის საჭიროა საგადასახადო და საბუღალტრო

საკითხებში კვალიფიკაციის ამაღლება. შემდგომ გამოკვლევას საჭიროებს ის საკითხი, თუ რატომ არ მონაწილეობენ საწარმოები მსგავს ღონისძიებებში, თუკი თვლიან, რომ ჭირდებათ და ამავდროულად ეს ღონისძიებები ხელმისაწვდომია მათთვის.

თუკი კომპანიების ზოგად მიმოხილვას შევაჯამებთ, უნდა აღინიშნოს, რომ საქმიანობის სფეროს მიხედვით განაწილება ქვეყანაში არსებული სურათის მსგავსია. რაც შეეხება ბიზნეს ასოციაციებში გაერთიანების დაბალ მაჩვენებელს, ეს სახარბიელო სურათს ნამდვილად არ წარმოადგენს, თუკი გავითვალისწინებთ იმას, რომ მსგავს გაერთიანებებში წევრობა მათი ინტერესების ადვოკატირებასა და ბიზნეს პერსპექტივების გაუმჯობესებაზეა მიმართული.

2. ქვეყანაში არსებული საგადასახადო სისტემის ზოგადი შეფასება

ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის რეფორმა ორჯერ განხორციელდა. პირველი ძირეული რეფორმა 2005 წელს გატარდა, როდესაც იმ პერიოდში არსებული ოცდაერთი გადასახადიდან მხოლოდ 6 შენარჩუნდა და განაკვეთები შემცირდა. შემცირება იმდენად საგრძნობი იყო, რომ ფორბსის გადასახადების სიმცირის რეიტინგში საქართველომ მეოთხე ადგილი დაიკავა.⁸ ახალი საგადასახადო კოდექსი ძალაში 2011 წლის იანვარში შევიდა, თუმცა, გადასახადების განაკვეთების ცვლილება ამ პერიოდში არ მომხდარა. მსოფლიო ბანკის გადასახადების სიმარტივის ინდექსის მიხედვით, საქართველო 2014 წელს 189 ქვეყნიდან 38-ე ადგილს იკავებდა, რაც მნიშვნელოვანი გაუმჯობესებაა 2007 წლის მონაცემებთან შედარებით, როდესაც იმავე რეიტინგში ქვეყანას 104-ე ადგილი ეკავა.⁹

აღნიშნული ფაქტების ფონზე, წინამდებარე თავში დეტალურად ვაანალიზებთ გადასახადების სიმძიმის აღქმასა და საწარმოების დამოკიდებულებას სხვადასხვა ტიპის გადასახადის მიმართ. ცალკე სექცია მიმოიხილავს, თუ რამდენად არიან კომპანიები ჩართული საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებაში და რამდენად ინფორმირებული არიან ისინი მიმდინარე პროცესების შესახებ.

აღნიშნული საკითხების საერთო ანალიზი ცხადყოფს, რომ საგადასახადო კანონმდებლობისადმი კომპანიების დამოკიდებულება ნაკლებად პოზიტიურია. ასე მაგალითად, კითხვაზე „პირველ რიგში რა ცვლილებებს შეიტანდით საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში“ მხოლოდ 4% აცხადებს, რომ არაფერს შეცვლიდა.

გამოკითხული კომპანიების მხოლოდ 4% ამბობს, რომ არაფერს შეცვლიდა საგადასახადო კანონმდებლობაში. დაახლოებით 40% გადასახადების რაოდენობას, ხოლო 27% გადასახადების განაკვეთს შეამცირებდა. 22% კი თვლის, რომ საჭიროა საგადასახადო კოდექსის გამარტივება.

კომპანიების დანარჩენი ნაწილის მიერ შემოთავაზებული ინიციატივები კი საკმაოდ რადიკალურ ცვლილებებს გულისხმობს. კერძოდ, დაახლოებით 40% გადასახადების რაოდენობას, 27% კი გადასახადების განაკვეთს შეამცირებდა. შედარებით მცირე ნაწილი (22%) თვლის, რომ პირველ რიგში საჭიროა საგადასახადო ადმინისტრირების გამარტივება. ეს შედეგი შეიძლება აიხსნას იმ ფაქტით, რომ საქართველოში გადასახადების გადახდის კულტურა ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია და მიუთითებს ბიზნესის მხრიდან სამოქალაქო პასუხისმგებლობის ამაღლების საჭიროებაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად ქვეყანაში სულ 6 სახის გადასახადი მოქმედებს: საშემოსავლო - 20%, მოგების - 15%, დამატებული ღირებულების - 18%, საბაჟო - 0%, 5% ან 12%, ქონების არაუმეტეს 1% (საწარმოებისთვის) და აქციზის გადასახადი, რომლის განაკვეთიც განსხვავდება სააქციზო პროდუქციის მიხედვით. როგორც უკვე აღვნიშნეთ, არსებული მდგომარეობით საქართველო საკმაოდ

⁸ საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, 2010
⁹ <http://www.doingbusiness.org/data/exploretopics/paying-taxes>

ლიბერალური საგადასახადო სისტემის მქონე ქვეყანად მიიჩნევა. თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, კომპანიები გამოხატავენ სისტემის უფრო მეტად გამარტივების სურვილს.

საგადასახადო კანონმდებლობაში კომპანიების მიერ შემოთავაზებული ცვლილებების უფრო სიღრმისეული ანალიზი შემდეგ სურათს აჩვენებს: საგადასახადო კოდექსის გამარტივება ძირითადად გულისხმობს ისეთ ცვლილებებს, როგორცაა გარდამავალი დებულებების გაუქმება და ორაზროვანი დებულებების გამარტივება. აღნიშნული საკითხის აქტუალობაზე საუბარია ადრე ჩატარებულ კვლევებშიც, რომლის მიხედვითაც საგადასახადო კოდექსის თითოეულ ძირითად მუხლს ორი ან სამი განსხვავებული ახსნა მოეძებნება, რაც შეცდომების ალბათობას მნიშვნელოვნად ზრდის.¹⁰ მოცემული კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ აღნიშნული საკითხი კვლავ პრობლემად რჩება საქართველოში.


რაც შეეხება კონკრეტულ გადასახადებს, საწარმოების კომენტარებში განსაკუთრებით ფიგურირებს მოსაზრება მოგების გადასახადის შემცირების ან გაუქმების შესახებ და გადასახადების დადგენა კომპანიის შემოსავლების დონის მიხედვით. როგორც მოგვიანებით იქნება ნაჩვენები, მოგების გადასახადი განსაკუთრებით მწვავე თემაა საწარმოებისთვის.

ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში საგადასახადო ტვირთი (გადასახადების წონა მთლიან შიდა პროდუქტში) ერთ-ერთი ყველაზე დაბალია. ფორბსის მონაცემებით საქართველო რიგით მეოთხე ადგილზეა გადასახადების სიმცირის მიხედვით.¹¹ თავად გამოკითხულ კომპანიებს რაც შეეხება, დიაგრამა 3 აჩვენებს, რომ გადასახადები საქართველოში უფრო მეტად საშუალო (28%), მძიმე (26%) ან ძალიან მძიმე (20%) ტვირთად აღიქმება. მათი ნახევარი (49%), ვინც გადასახადების ტვირთს მძიმედ აფასებს, ვაჭრობის სფეროშია მოქცეული. უფრო გამოკვეთილად, კომპანიები გადასახადების სიმძიმეზე საუბრობენ შემდეგ სფეროებში: ტრანსპორტი/ლოჯისტიკა, სასტუმრო და რესტორნები და საკვები პროდუქტების წარმოება (იხ. დიაგრამა 4). კავშირი გადასახადების სიმძიმის აღქმასა და კომპანიების სამართლებრივ ფორმას ან ზომას შორის არ გამოიკვეთა.

¹⁰ საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, საქართველოს საგადასახადო სისტემის მიმოხილვა, 2010

¹¹ <http://www.forbes.com/global/2009/0413/034-tax-misery-reform-index.html>

დიაგრამა 3: გადასახადების სიმძიმის აღქმა კომპანიებს შორის (%)




საქმიანობის სფეროს გარდა, გადასახადების ტვირთის სიმძიმის აღქმაზე სტატისტიკურად მნიშვნელოვანი¹² გავლენა აქვს გადახდილი გადასახადების ტიპს. კერძოდ, თუკი ერთმანეთს შევადარებთ კონკრეტული გადასახადის გადამხდელ საწარმოებსა და დანარჩენებს, ვისაც ეს გადასახადი არ გადაუხდია, ვნახავთ, რომ მოგების, დამატებული ღირებულებისა და იმპორტის გადასახადის გადამხდელ კომპანიებს შორის საგადასახადო ტვირთის სიმძიმის საშუალო შეფასება გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე იმ კომპანიებისა, რომლებსაც ეს გადასახადები 2014 წელს არ გადაუხდიათ.

გადასახადების ტვირთს კომპანიები უფრო მეტად საშუალოდ (28%), მძიმედ (26%) ან ძალიან მძიმედ (20%) აფასებენ. ამასთანავე საინტერესოა, რომ მოგების, დამატებული ღირებულებისა და იმპორტის გადასახადის გადამხდელ ბიზნესებს შორის განსაკუთრებით მაღალია მათი წილი, ვინც გადასახადების ტვირთს მძიმედ აფასებს.

საინტერესოა, რომ მსგავსი დამოკიდებულება ყველა ძირითადი გადასახადის მიმართ. ამავდროულად, მსგავსი ტენდენცია არ შეინიშნება აქციზის გადამხდელთა შორის, რომლის განაკვეთი გასულ წელს გაიზარდა. ამდენად, ეს საკითხი დამატებით კვლევას მოითხოვს.

¹² დღგ - Chi square (2, N-1023)=28.52, p= .000
 მოგების გადასახადი - Chi square (2, N-1023)=12.51, p= .002
 იმპორტის გადასახადი - Chi square (2, N-1023)= 8.07, p= .018

დიაგრამა 4: გადასახადების სიმძიმის აღქმა საქმიანობის სფეროს მიხედვით (%)




საგადასახადო კანონმდებლობა და კომპანიები

გამოკითხული კომპანიების უმრავლესობისათვის (80%) ინფორმაცია საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ ხელმისაწვდომია. როგორც მე-5 დიაგრამიდან ჩანს, ინფორმაციის ყველაზე პოპულარული წყარო შემოსავლების სამსახურის ვებგვერდია. ასევე მნიშვნელოვანი წყაროა ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდი, საკანონმდებლო მაცნე და პროგრამა „კოდექსი“. ინფორმაციის წყაროები განსაკუთრებულად არ განსხვავდება საწარმოების ზომის ან შემოსავლის მიხედვით.

საგადასახადო კანონმდებლობის განხილვის პროცესში საწარმოების მონაწილეობა შეზღუდულია. კომპანიების აბსოლუტურ უმრავლესობას (95%) ბოლო 2 წლის განმავლობაში მონაწილეობა არ მიუღია საგადასახადო კანონმდებლობის განხილვაში. თავის მხრივ, ის კომპანიები, რომლებიც მონაწილეობდნენ მსგავს პროცესში ძირითადად დიდი ზომის საწარმოებს წარმოადგენენ უმეტესად ვაჭრობის სფეროში. იქმნება შთაბეჭდილება, რომ განხილვაში მონაწილეობაზე მცირე ზომის საწარმოებს ნაკლებად მიუწვდებათ ხელი. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ ეს მდგომარეობა საქართველოსათვის უნიკალურ მოვლენას არ წარმოადგენს. როგორც წესი, მსხვილი ბიზნესი გაცილებით აქტიურადაა ჩართული მსგავს პროცესებში. აღსანიშნავია, რომ ბიზნეს გაერთიანებების წევრობა რაიმე განსაკუთრებულ ეფექტს არ ახდენს კანონმდებლობის განხილვის პროცესში მონაწილეობაზე. კერძოდ, ასოციაციების წევრი 53 კომპანიიდან, მხოლოდ 10-მა განაცხადა, რომ მონაწილეობა მიუღია მსგავს განხილვაში.

დიაგრამა 5: საგადასახადო კანონმდებლობის შესახებ ინფორმაციის წყაროები (%)



მეორეს მხრივ, თუკი კომპანია მონაწილეობს აღნიშნულ პროცესში, მაშინ, უმეტეს შემთხვევაში, მის აზრს ისმენენ და ითვალისწინებენ. ასე მაგალითად, საკანონმდებლო განხილვის პროცესში მონაწილე კომპანიების განცხადებით, უმეტეს შემთხვევაში (70%) მათი მოსაზრებები ნაწილობრივ ან სრულად გაითვალისწინეს. ხოლო თუკი შეთავაზებულ აზრს არ ითვალისწინებდნენ, მაშინ მათი უმრავლესობისათვის (70%) მიღებული გადაწყვეტილება სრულად ან ნაწილობრივად საბუთდებოდა.

საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილების სიხშირეს რაც შეეხება, აქ ერთგვაროვანი სურათი ნაკლებად ისახება. საწარმოები ფაქტობრივად ორ ჯგუფად იყოფა: ნაწილი, რომელიც თვლის, რომ კანონმდებლობა ხშირად იცვლებოდა (63%) და ნაწილი, რომელიც თვლის, რომ ცვლილებები უფრო იშვიათი იყო (37%). აღსანიშნავია, რომ მეორე ჯგუფის წარმომადგენლები უფრო დადებითად აფასებენ შემოსავლების სამსახურის თანამშრომლობას კომპანიებთან და ზოგადად ამ სამსახურის მუშაობას, ვიდრე ისინი, ვინც თვლის, რომ კანონმდებლობა ხშირად იცვლებოდა.

აღნიშნული ფაქტი ეხმიანება სფეროში არსებულ სხვა კვლევებს. საინტერესოა, რომ 2011 წელს ახალი კოდექსის ძალაში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში მასში 25 ცვლილება შევიდა, რაც თვეში საშუალოდ 2 ცვლილებას ნიშნავს. ბოლო 5 წლის განმავლობაში კი ჯამში 57 ცვლილება გაკეთდა. ზოგიერთი ექსპერტის მოსაზრებით, ცვლილებების ამგვარი ტემპი და რაოდენობა დამაბნეველია კომპანიებისათვის, მით უმეტეს იმის ფონზე, რომ ცვლილებები ყოველთვის ნათელი და ადვილად გასაგები არ არის. ეს კი უნებლიე კანონდარღვევის და დაჯარიმების საფუძველი შეიძლება გახდეს.¹³

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად საერთაშორისოდ აღიარებული ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკისა, კომპანიების დამოკიდებულება ქვეყნის

¹³ ქორჩილავა რ. საგადასახადო ადმინისტრირების ეფექტიანობის ამაღლების ეკონომიკურ-ფსიქოლოგიური ასპექტები, 2014

საგადასახადო კანონმდებლობის მიმართ უფრო ნეგატიურია, ვიდრე პოზიტიური. აღნიშნულის მიზეზი საგადასახადო კოდექსის ხშირი ცვლილება და ბუნდოვანი ჩანაწერები, ასევე გადასახადების რაოდენობა და განაკვეთია. მოცემული შედეგი უფრო იმის გამოძახილია, რომ ბიზნესი ზოგადად მხარს უჭერს გადასახადების შემცირებას (ზოგჯერ საერთოდ გაუქმებასაც).

მართალია, ძირითადად საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილების პროცესში მონაწილე კომპანიების აზრის გათვალისწინება ხდება, მაგრამ მსგავსი კომპანიების რაოდენობა საკმაოდ მცირეა. განსაკუთრებით ეს მცირე და საშუალო ბიზნესს ეხება. თუმცა, ეს აუცილებლობით არ ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული სეგმენტი პროცესიდან გამოთიშულია. უნდა გავითვალისწინოთ, რომ სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესის წახალისებისათვის შემოვიდა საგადასახადო კანონმდებლობაში „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმის“ ცნება, რომელიც მიკრო, მცირე და ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირზე ვრცელდება. აღნიშნულ პირებს ბუღალტერიის წარმოება ფაქტობრივად არ უხდებათ და, შესაბამისად, ადმინისტრირებაც გამარტივებული აქვთ. აღნიშნულის გამო შესაძლებელია, მათი დაინტერესება საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილების პროცესით არც ისე მაღალი იყოს.

3. კომპანიების დამოკიდებულება შემოსავლების სამსახურის საქმიანობისადმი

2007 წელს საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრაციები გაერთიანდა და შეიქმნა შემოსავლების სამსახური, რომელიც ამ ორი სამსახურის უფლებამოსილებებს ახორციელებს. დაინერგა რიგი ახალი სერვისებისა, როგორცაა პირადი საგადასახადო მრჩეველი, უბნის საგადასახადო ოფიცერი და სხვა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ელექტრონულ სერვისებს, რომლის ყველაზე ნათელი გამოხატულებაც სამსახურის ვებ-გვერდი - www.rs.ge.

კვლევის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა შემოსავლების სამსახურის აღნიშნული სერვისების შეფასებაზე. მოცემულ თავში შეჯამებულია კვლევის ამ ნაწილის შედეგები და წარმოდგენილია კომპანიების დამოკიდებულება როგორც ზოგადად აღნიშნული სამსახურის მიმართ, ისე მისი საქმიანობის ცალკეულ ასპექტებთან დაკავშირებით.

კომპანიები შემოსავლების სამსახურის საქმიანობას საკმაოდ პოზიტიურად აფასებენ. კერძოდ, საწარმოების 60-70% დადებითად აფასებს როგორც შემოსავლების სამსახურის თანამშრომლობას კომპანიებთან, ისე ზოგადად სამსახურის მუშაობას. როგორც წინა სექციაში უკვე აღინიშნა, დადებითი შეფასება ასევე კავშირშია იმასთან, თუ როგორ აღიქვამენ საწარმოები საგადასახადო კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებების სიხშირეს. ამასთანავე, ბიზნესების დიდი უმრავლესობა (91%) აცხადებს, რომ გულახდილად შეუძლიათ შემოსავლების სამსახურთან თავის პრობლემებზე საუბარი.

ყველაზე პოპულარული სერვისები

შემოსავლების სამსახურის სერვისების გამოყენების დონე საკმაოდ მაღალია. კერძოდ, გამოკითხული კომპანიების მხოლოდ 5% აცხადებს, რომ ბოლო 2 წლის განმავლობაში არცერთი სერვისით არ უსარგებლია.

სერვისებდან ყველაზე მოსახერხებლად დასახელდა ელექტრონული ფოსტა (info@rs.ge) (30%), საინფორმაციო სატელეფონო ცენტრისა (28%) და სერვის-ცენტრის მომსახურება (23%). სერვისების გამოყენების მხრივ დიდი სხვაობა არ შეინიშნება შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოებსა და ინდივიდუალურ მეწარმეებს შორის. ერთადერთი სხვაობა იმაში მდგომარეობს, რომ 5 000 000 ლარზე მეტი შემოსავლის მქონე დიდი ზომის კომპანიები, სხვებთან შედარებით მეტად იყენებენ პირადი საგადასახადო მრჩეველის (*Prive*) მომსახურებას. კერძოდ, დიდი კომპანიების 16% აცხადებს, რომ აღნიშნული სერვისით სარგებლობს.


როგორც მე-6 დიაგრამაზე ჩანს, ყველაზე მეტად კომპანიები სწორედ იმ სერვისებს იყენებენ, რომლებიც ყველაზე მოსახერხებლად დასახელდა. შესაბამისად, ელექტრონული

კომპანიების მხოლოდ 5% აცხადებს, რომ შემოსავლების სამსახურის სერვისებით არ სარგებლობს. ყველაზე გამოყენებულ და მოხერხებულ სერვისებად დასახელდა: ელექტრონული ფოსტით (30%), საინფორმაციო სატელეფონო (2 299 299) ცენტრისა (28%) და სერვის ცენტრის მომსახურება (23%). სერვისების გამოყენებით კმაყოფილების ძირითადი მიზეზი ამომწურავი პასუხები და ოპერატიული მომსახურებაა.

ფოსტის, საინფორმაციო სატელეფონო ცენტრისა და სერვის-ცენტრის მომსახურება ორივე პარამეტრის მიხედვით შეიძლება ყველაზე პოპულარულ სერვისად დავასახელოთ. დანარჩენი მომსახურებების გამოყენების დონე დაბალია. თუმცა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს პირადი საგადასახადო მრჩევლის (Privé) მომსახურების სპეციფიკა, რომელიც მხოლოდ მსხვილი გადამხდელებისთვისაა ხელმისაწვდომი და, შესაბამისად, მისი გამოყენების დაბალი სიხშირე აიხსნება არა მოცემული სერვისის ცუდი ხარისხით, არამედ მისი ზემოხსენებული სპეციფიკით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, Privé -ის დაბალი გამოყენების სიხშირე ლოგიკური და მოსალოდნელია ამ სერვისის სპეციფიკის გათვალისწინებით და მის ნაკლოვანებაზე არ მოუთითებს. ამას ადასტურებს როგორც ის ფაქტი, რომ ამ სერვისის შემთხვევაში გამოყენების სიხშირე კმაყოფილების სიხშირეს უტოლდება (ორივე 7%-ია), ასევე ქვემოთ მოყვანილი მონაცემებიც, რომლის თანახმადაც Privé -ის მომხმარებელთა შორის ამ სერვისით უკმაყოფილო კომპანია ფაქტობრივად არ არსებობს.

თუკი თითოეული სერვისის შეფასებას ჩავუღრმავდებით, ვნახავთ, რომ მათი გამოყენების დონის მიუხედავად, ყველა მათგანი საკმაოდ პოზიტიურადაა შეფასებული. კონკრეტული სერვისის მომხმარებელ საწარმოებს შორის „საკმაოდ კმაყოფილი“ და „კმაყოფილი“ საწარმოების წილი 90-96%-ის ფარგლებში მერყეობს. გამოიკვეთა კმაყოფილების სამი ძირითადი მიზეზი: ნათელი და სრული პასუხები კითხვებზე, ოპერატიული მომსახურება (დროის დაზოგვა) და იმ კონკრეტული პრობლემის მოგვარების შესაძლებლობა, რომლისთვისაც სამსახურს მიმართეს. თუ უშუალოდ კმაყოფილების მიზეზებს შევხედავთ, ცხადია, რომ ყველაზე ხშირად ნათელი და სრული პასუხების მიღება დასახელდა. შესაბამისად, თითოეული სერვისის შეფასების დროს სწორედ ეს უკანასკნელი ლიდერობს (იხ. დიაგრამა 7).


დიაგრამა 6: შემოსავლების სამსახურის სერვისების შეფასება კომპანიების მიერ (%)



რაც შეეხება შემოსავლების სამსახურის სერვისებით უკმაყოფილებას, იგი ძალიან მცირე ნაწილმა (6%) გამოხატა. როგორც მოსალოდნელია, უკმაყოფილების ძირითადი

შემთხვევები იმ სერვისებზე მოდის, რომლებსაც ყველაზე ხშირად იყენებენ. ასე მაგალითად, info@rs.ge-ით უკმაყოფილების მიზეზი 29 კომპანიამ დაასახელა, სერვის ცენტრით - 15-მა, საინფორმაციო სატელეფონო ცენტრით (2 299 299) – 11-მა, ცხელი ხაზით - 6-მა, ხოლო უბნის ოფიცრის მიმართ მხოლოდ ორმა კომპანიამ გამოხატა უკმაყოფილება (აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელის მომსახურებით გამოკითხულ კომპანიათა მხოლოდ მცირე ნაწილს (9%) უსარგებლია). ძირითად მიზეზებად თანამშრომელთა არაკომპეტენტურობა და არასრული პასუხის მიღება დასახელდა. აღსანიშნავია, რომ პირადი საგადასახადო მრჩევლის მიმართ უკმაყოფილება არცერთ კომპანიას არ გამოუხატავს. (დეტალური ინფორმაციისათვის იხ. დანართი ბ, ცხრილები 31-46).

დიაგრამა 7: მომსახურებით კმაყოფილების მიზეზები (%)



ღია კარის დღე

შემოსავლების სამსახურის მიერ ორგანიზებული ღია კარის დღეები კომპანიებს შორის არც ისე პოპულარულია. ბოლო ორი წლის განმავლობაში ამ ღონისძიებას გამოკითხული კომპანიების მხოლოდ 31% დაესწრო. დაუსწრებლობის მიზეზად ინფორმაციის ნაკლებობა ვერ ჩაითვლება, რადგან მხოლოდ 2% აცხადებს, რომ ღია კარის დღის შესახებ არაფერი სმენია. თავის მხრივ, მათი 76%, ვინც აღნიშნულ ღონისძიებას დაესწრო, აცხადებს, რომ საკმაოდ სრულყოფილი ინფორმაცია მიიღო.

სამომავლო პესპექტივას რას შეეხება, ახლო მომავალში საგადასახადო საკითხებზე ორგანიზებულ ღონისძიებაზე დასწრების სურვილი გამოთქვა ყველა ჯგუფის წარმომადგენელმა: მათაც, ვინც უკვე დაესწრო (95%), ვინც არ დასწრებია (77%) და მათაც, ვინც მხოლოდ გამოკითხვის დროს შეიტყო აღნიშნული ღონისძიების შესახებ (75%).

ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნება

ბოლო ორი წლის განმავლობაში საწარმოების მხოლოდ 3%-მა (31 კომპანია) მოითხოვა ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნება. აღნიშნულთაგან 21%-ს არ დაუბრუნდა თანხა, უმეტესობას კი დაუბრუნდა სრულად ან ნაწილობრივ.¹⁴ ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნება, სამი შემთხვევის გარდა, მოთხოვნიდან სამი თვის ვადაში მოხდა. აღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ იშვიათი გამონაკლისების გარდა, ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნება კანონით მიერ დადგენილ ვადებში ხორციელდება.

აღსანიშნავია, რომ იმ კომპანიების თითქმის მესამედი, ვინც თანხის დაბრუნება მოითხოვა (9 საწარმო), თვლის, რომ ეს მოთხოვნა მათი კომპანიის კამერალური შემოწმების მიზეზი გახდა.

შეიძლება ითქვას, რომ შემოსავლების სამსახურის მიმართ კომპანიებმა ცალსახად პოზიტიური დამოკიდებულება გამოხატეს. მიუხედავად იმისა, რომ რიგი სერვისების გამოყენების დონე დაბალია (რაც გარკვეულწილად სერვისების სპეციფიკაციიდან გამომდინარე მოსალოდნელიც იყო), ყველა მათგანი დადებითადაა შეფასებული. რაც შეეხება ღია კარის დღეს, მას ბოლო ორი წლის განმავლობაში კომპანიების 31% დაესწრო. იმის გათვალისწინებით, რომ ღია კარის დღის შესახებ ინფორმირებულობის დონე მაღალია, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დასწრების აღნიშნული მაჩვენებელი კომპანიების მხრიდან ინტერესის ნაკლებობით აიხსნება.

¹⁴ გამოკითხულთაგან ერთი კომპანია აცხადებს, რომ ჯერ კიდევ ელოდება პასუხს ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნებასთან დაკავშირებით, რომელზეც მოთხოვნა 2014 წელს გააკეთეს.

4. საგადასახადო შემოწმებები


საგადასახადო შემოწმებები ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური და მტკივნეული თემაა ბიზნესისათვის. პრობლემებს შორის, პირველ რიგში, სახელდება შემოწმებების ხანგრძლივობა და პროცესის გაჭიანურება. წინამდებარე თავი დეტალურად შეისწავლის კომპანიებში საგადასახადო შემოწმებების ბუნებას (სიხშირე, ტიპები და ა.შ.) და მის შედეგებს (ხდება თუ არა ჯარიმების დარიცხვა, როგორ რეაგირებენ კომპანიები და როგორია დავის გადაწყვეტის მექანიზმები). აღნიშნულის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რამდენად უქმნის საგადასახადო შემოწმებები პრობლემას კომპანიებს.

დღევანდელი საგადასახადო კოდექსის მიხედვით, კომპანიაში გასვლითი შემოწმება შეიძლება არაუმეტეს ხუთ თვეს გაგრძელდეს. აქედან 3 თვე წარმოადგენს აუდიტის ვადას, რომელიც სპეციალური გადაწყვეტილებით შესაძლოა 2 თვით გაგრძელდეს ან გარკვეული პერიოდით შეჩერდეს. შესაბამისად, საერთო ჯამში შემოწმების პროცესი გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება 1 წელზე მეტ ხანსაც გაგრძელდეს.

ბუნებრივია, რომ კომპანიების უმეტესობა ხშირ საგადასახადო შემოწმებას არ მიესალმება. მაგალითად, გამოკითხული კომპანიების 4% თვლის, რომ მათი მსგავსი საწარმოები საერთოდ არ უნდა ექვემდებარებოდნენ შემოწმებას. თუკი არჩევანის შესაძლებლობას მივცემთ, ისინი შემოწმების რაც შეიძლება იშვიათ პერიოდს ირჩევენ (იხ. დიაგრამა 8).

2014 წელს გამოკითხული კომპანიების 23%-ში ჩატარდა ამა თუ იმ სახის საგადასახადო შემოწმება. დიაგრამა 9 აჩვენებს, რომ შემოწმება უფრო მეტად დიდი ზომის კომპანიებში განხორციელდა. იგივეზე მიუთითებს შემოსავლების მიხედვით კომპანიების ანალიზი. თუკი კომპანიებს შემოსავლების მიხედვით დავაჯგუფებთ, ვნახავთ, რომ შემოწმებული საწარმოების 41%-ის შემოსავალი 5 მილიონ ლარზე მეტია.


დიაგრამა 8: რა სიხშირით უნდა ტარდებოდეს თქვენს კომპანიაში საგადასახადო შემოწმება? (%)



2014 წლის განმავლობაში გამოკითხული კომპანიების მხოლოდ 23%-ში ჩატარდა შემოწმება, ამათგან გასვლითი შემოწმება არ ჩატარებულა 50%-ში არც ერთხელ, ხოლო 40%-ში მხოლოდ ერთხელ. 11 კომპანიაში გასვლითი შემოწმება ჩატარდა ორჯერ ან


მეტჯერ 2014 წელს. მნიშვნელოვანია, რომ საწარმოების უმეტესობა (71%) შემოწმების განმახორციელებელი პირების კომპეტენტურობას დადებითად აფასებს.

დიაგრამა 9: საგადასახადო შემოწმებების სიხშირე სხვადასხვა ზომის კომპანიაში



რაც შეეხება სხვა სახის შემოწმებებს, მე-10 დიაგრამა აჩვენებს რომ ყველაზე ხშირად გამოკითხულ კომპანიებში 2014 წლის მანძილზე საკონტროლო შესყიდვა განხორციელდა.

დიაგრამა 10: სხვადასხვა ტიპის შემოწმებების ჩატარების საშუალო რაოდენობა წელიწადში




როგორც შესავალში აღვნიშნეთ, საგადასახადო შემოწმებების ხანგრძლივობა საგადასახადო კოდექსით რეგულირდება. შესაბამისად, საინტერესოა საშუალოდ წელიწადში რამდენი დღე დასჭირდა კომპანიების საგადასახადო კონტროლს. შეინიშნება სტატისტიკურად

მნიშვნელოვანი¹⁵ განსხვავება სხვადასხვა ზომის საწარმოში ინსპექტირების საშუალო დღეებს შორის. კერძოდ, თუ მცირე ზომის საწარმოებში ინსპექტირებაზე საშუალოდ წელიწადში 17 დღე მოდის, საშუალოში იგი 23, ხოლო დიდ კომპანიებში 35 დღემდე ადის (იხ. დიაგრამა 11). შემოწმების ვადის 5-თვიანი პერიოდის გათვალისწინებით, ეს მონაცემები კანონთან სრულ შესაბამისობაშია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ დაფიქსირდა 11 შემთხვევა, სადაც ინსპექტირებაზე დახარჯული დღეების რაოდენობა 200-დან 364-მდე აღწევს. ასევე სტატისტიკურად მნიშვნელოვანი¹⁶ განსხვავებაა კომპანიების სამართლებრივი ფორმის მიხედვით: თუ ინსპექტირება ინდივიდუალურ მეწარმეებთან საშუალოდ 8 დღეს გაგრძელდა, შპს-ს შემთხვევაში ეს მაჩვენებელი საშუალოდ 32 დღემდეა.

იმ კომპანიებიდან, რომლებშიც რაიმე სახის საგადასახადო შემოწმება მიმდინარეობდა, შემოწმება შეჩერდა 12%-ში (30 კომპანია). შემთხვევათა უმრავლესობაში შემოწმება ერთხელ შეჩერდა. თუმცა, იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც აღნიშნული პროცესი ორჯერ და ხუთჯერაც შეჩერებულა. როგორც შესავალში ვახსენეთ, მსგავსი სახის შეჩერებები, რაც რეალურად შემოწმების გახანგრძლივების საწინდარია, საკმაოდ არასასიამოვნო პროცესია ბიზნესისათვის.

დიაგრამა 11: ინსპექტირების დღეების საშუალო რაოდენობა კომპანიის ზომის მიხედვით (%)



ზოგადად, როგორც გამოკითხული კომპანიების უმრავლესობა აღნიშნავს, შემოწმებების ჩატარებას მათ მუშაობაზე უარყოფითი გავლენა არ ჰქონია. მხოლოდ 12-მა კომპანიამ აღნიშნა, რომ შემოწმებების შედეგად მათი საქმიანობა დროებით ან ნაწილობრივ იყო დახურული/შეჩერებული 2014 წელს და მხოლოდ ორმა კომპანიამ განაცხადა, რომ მათ დროის გასვლის გამო საურავის რაოდენობა გაეზარდათ. შესაბამისად, შეიძლება

¹⁵ t (94) = -3.06, p < 0.05

¹⁶ t (8) = -2.42, p < 0.05

დავასკვნათ, რომ კომპანიების მიერ აღქმული შემოწმების ხელშესახები უარყოფითი შედეგები ძალიან მცირეა.

რამდენი უჯღებათ კომპანიებს საგადასახადო შემოწმება?

იმ კომპანიებიდან, რომელშიც 2014 წელს რაიმე სახის შემოწმება ჩატარდა, თითქმის ნახევარს (47%) საგადასახადო ვალდებულება დაეკისრა. ჯარიმების მოცულობა მერყეობს 100-დან 600 000 ლარამდე. ჯარიმების მოცულობა საგრძნობლად განსხვავდება, ერთის მხრივ, მცირე (საშუალოდ 3000 ლარი) და, მეორეს მხრივ, საშუალო და დიდ კომპანიებში (საშუალოდ 7000 ლარი).


გამოკითხული კომპანიებიდან მხოლოდ 12-მა განაცხადა, რომ საქმიანობის დახურვა/შეჩერება მოუწია, შემოწმებების შეჩერების გამო კი მხოლოდ 2 კომპანიას გაეზარდა საურავი.

კომპანიების 41%-მა გაასაჩივრა საგადასახადო ორგანოების მიერ 2014 წელს დაკისრებული საურავები. თუ ერთმანეთს შევადარებთ კომპანიებს, რომლებმაც გაასაჩივრეს და იმათ, ვისაც არ გაუსაჩივრებიათ, ვნახავთ, რომ ჯარიმების საშუალო მაჩვენებელი

მომჩივანთა ჯგუფში გაცილებით მაღალია (9500 ლარი), ვიდრე მეორეში (5100 ლარი). აღნიშნული გვაფიქრებინებს, რომ რაც უფრო მაღალია ჯარიმა, მით უფრო მეტია გასაჩივრების მოტივი კომპანიისათვის. გასაჩივრების შემთხვევების 60%-ში შემოსავლების სამსახურის დავების საბჭომ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილება 1 თვემდე ვადაში მიიღო, რაც სრულ შესაბამისობაშია კანონთან, რომლის მიხედვითაც, დავების საბჭომ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილება 65 დღის ვადაში უნდა მიიღოს. საწარმოების თითქმის ნახევარი (49%) საბჭოს მუშაობას აფასებს, როგორც საკმაოდ ან ძალიან ობიექტურს.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კომპანიების რწმენა საჯარო დაწესებულებების სამართლიანობასა და ობიექტურობაში საკმაოდ მაღალია. მაგალითად, შემოსავლების სამსახურთან პრობლემების მოგვარების გზად არცერთ კომპანიას არ დაუსახელებია ქრთამი ან სხვა არაოფიციალური მექანიზმი. ასევე, როგორც ადრე ვახსენეთ, კომპანიების 91% ამბობს, რომ გულახდილად შეუძლია შემოსავლების სამსახურთან საკუთარ პრობლემებზე საუბარი.

დიაგრამა 12: დავის მოგვარების მექანიზმები კომპანიის ზომის მიხედვით (%)



კომპანიები ერთნაირად მიმართავენ გასაჩივრებას საგადასახადო ორგანოში, ფინანსთა სამინისტროს დავების საბჭოში ან სასამართლოში. როგორც მე-12 დიაგრამაზე ჩანს, გასაჩივრების მექანიზმები საგრძნობლად არ განსხვავდება კომპანიის ზომის მიხედვით. თუმცა, აშკარაა, რომ მცირე საწარმოები, საშუალო და დიდ ბიზნესთან შედარებით ნაკლებად ასაჩივრებენ საურავებს. ასევე, როგორც სურათზე ვხედავთ, მცირე საწარმოები ყველაზე ნაკლებად ასაჩივრებენ საურავებს. კვლევის მონაცემები არ გვაძლევს მათი ნაკლებად აქტიურობის მიზეზის დადგენის საშუალებას. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ მცირე კომპანიებში ჯარიმების ოდენობაც ნაკლებია დიდ და საშუალო ბიზნესთან შედარებით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სასამართლო პროცესთან დაკავშირებული ხარჯები მათთვის ფინანსურად წამგებიანია. ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ საგადასახადო ორგანოები, გადასახადის გადამხდელისგან განსხვავებით, გათავისუფლებულია ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან და შეუძლია, დავა აწარმოოს ყოველგვარი საფასურის გადახდის გარეშე.

იმ კომპანიებიდან, რომლებსაც საგადასახადო ვალდებულება დაეკისრათ, 41%-მა გასაჩივრა გადაწყვეტილება. რაც უფრო მაღალია ფინანსური საურავი, მით მეტია გასაჩივრების ალბათობა. თუმცა, მცირე ზომის კომპანიები აქაც პასიურობით გამოირჩევიან.

თავის დასაწყისში დასმულ კითხვას თუ დავუბრუნდებით, შეიძლება, დავასკვნათ, რომ უმეტეს შემთხვევაში საგადასახადო შემოწმებასთან დაკავშირებული პროცედურები კანონის დაცვით ხორციელდება და ხელშესახები უარყოფითი ეფექტი საწარმოების საქმიანობაზე არ აქვს. მართალია, სახეზეა ფაქტები, როდესაც შემოწმებების ხანგრძლივობა დაშვებულზე მეტხანს გაგრძელდა და კომპანიებს მოუწიათ აღნიშნულის გამო საქმიანობის შეჩერება, მსგავსი ფაქტების რაოდენობა უმნიშვნელოა.

5. იმპორტთან და ექსპორტთან დაკავშირებული საკითხები

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის¹⁷ მონაცემებით, 1995 წლიდან მოყოლებული საქართველოს საგარეო ვაჭრობის სალდო უარყოფითია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ქვეყანა გაცილებით მეტ იმპორტს აწარმოებს, ვიდრე ექსპორტს. სავაჭრო დეფიციტი აკადემიურ წრეებში აუცილებლად ნეგატიურ მოვლენად არ აღიქმება,¹⁸ თუმცა, საქართველოს

გამოკითხული კომპანიების მხოლოდ 14% აწარმოებს ექსპორტს, ხოლო იმპორტით 39%-ია დაკავებული. საერთო ჯამში, მხოლოდ 21 კომპანიას შეეძინა პრობლემა იმპორტის ან ექსპორტის დროს 2014 წლის განმავლობაში, რაც უმეტესწილად საბაჟო პროცედურების ხანგრძლივობასთან იყო დაკავშირებული.

ხელისუფლება რიგ ღონისძიებებს ახორციელებს ექსპორტის წასახალისებლად და დეფიციტის აღმოსაფხვრელად. მათ შორის მნიშვნელოვან როლს თამაშობს საბაჟო სერვისების ეფექტურობის გაზრდა და საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებების გაფორმება. მოცემულ სექციაში წარმოდგენილია კომპანიების დამოკიდებულებები და შეფასებები ორივე საკითხის მიმართ.

ექსპორტიორი და იმპორტიორი კომპანიების განაწილება გამოკითხულ ბიზნესებს შორის ქვეყანაში არსებული ზოგადი მდგომარეობის შესაბამისია. კერძოდ, კომპანიების მხოლოდ 14% აწარმოებს ექსპორტს მაშინ, როდესაც იმპორტით 39%-ია დაკავებული. ორივე ჯგუფში საკმაოდ მცირეა იმ საწარმოების რაოდენობა, რომლებსაც პრობლემები შეექმნათ ექსპორტის ან იმპორტის დროს. კერძოდ, მხოლოდ ოთხ კომპანიას შეექმნა პრობლემა ექსპორტის განსახორციელებლად საჭირო პროცედურების გავლისას, რომელთა უმეტესობა საქართველოს საბაჟოზე პროცედურების ხანგრძლივობასთან იყო დაკავშირებული. იმპორტიორი კომპანიებიდან კი 17-ს შეექმნა პრობლემა, რაც ძირითადად ქართულ საბაჟოზე პროცედურების ხანგრძლივობასა და ელექტრონული სისტემის გაუმართაობას უკავშირდებოდა.

ქვემოთ მოცემული ცხრილის მეორე სვეტში ნაჩვენებია ექსპორტიორი და იმპორტიორი კომპანიებიდან რამდენი იყენებს საბაჟო დეპარტამენტის მიერ შეთავაზებულ ამა თუ იმ სერვისს. აღნიშნული სერვისები დალაგებულია მათი გამოყენების სიხშირის მიხედვით. იმ კომპანიებს, რომლებმაც განაცხადეს, რომ არ იყენებენ კონკრეტულ სერვისს, დამატებით ჰკითხეს მიზეზების შესახებ. გამოუყენებლობის ძირითადი მიზეზები მოცემულია ცხრილის ბოლო სვეტში. უნდა აღინიშნოს, რომ მომსახურების გამოუყენებლობის მთავარ მიზეზად საჭიროების არარსებობა დასახელდა, რაც კომპანიების სპეციფიკითაა განპირობებული და არ უკავშირდება მომსახურების ხარისხს. თუმცა, არის შემთხვევა, როდესაც კომპანიას საერთოდ არ ჰქონდა ინფორმაცია კონკრეტული სერვისის შესახებ. ინფორმაციის ნაკლებობა განსაკუთრებით შესამჩნევია შემდეგ სერვისებთან დაკავშირებით: რიგის დაკავების სერვისი rs.ge-ზე (16%), Sms

¹⁷ www.geostat.ge

¹⁸ Alessandria G. Trade Deficits Aren't as Bad as You Think, 2007

სერვისით საქონლის საბაჟო დეკლარირება (11%), Sms სერვისი აღრიცხვის მოწმობის შემთხვევაში (11%) და წინასწარი დეკლარირება rs.ge-ს მეშვეობით (10%) (იხ. ცხრილი).

მომსახურება	სერვისის გამოყენების მაჩვენებელი	გამოუყენებლობის ძირითადი მიზეზები
წინასწარი დეკლარირება დოკუმენტების გეზ-ში მიტანით	45%	არ გვჭირდება - 88% არაკომფორტულია - 5%
იმპორტის დეკლარაციის თავად შევსება	45%	არ გვჭირდება - 80% არაკომფორტულია - 4% არ გვაქვს ინფორმაცია - 4%
Sms სერვისით საქონლის საბაჟო დეკლარირება	41%	არ გვჭირდება - 82% არ გვაქვს ინფორმაცია - 11%
წინასწარი დეკლარირება rs.ge-ს მეშვეობით	36%	არ გვჭირდება - 84% არ გვაქვს ინფორმაცია - 10%
დეკლარირება გეზ-ში საქონლის საბაჟო კონტროლის ზონაში წარდგენის გარეშე და გაფორმების დასრულება გამშვებ პუნქტზე	30%	არ გვჭირდება - 93%
წინასწარი დეკლარირება სერვის-ცენტრში დოკუმენტების მიტანით	24%	არ გვჭირდება - 90% არ გვაქვს ინფორმაცია - 5%
Sms სერვისი აღრიცხვის მოწმობის შემთხვევაში	23%	არ გვჭირდება - 81% არ გვაქვს ინფორმაცია - 11%

დეკლარირება საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებულ ადგილზე, გარდა გამშვები პუნქტისა და გეზ-ისა	15%	არ გვჭირდება - 87% არ გვაქვს ინფორმაცია - 5%
რიგის დაკავების სერვისი rs.ge-ზე	14%	არ გვჭირდება - 75% არ გვაქვს ინფორმაცია - 16%
ექსპორტის დეკლარაციის თავად შევსება	13%	არ გვჭირდება - 88% სხვა - 5%

შენიშვნა: სერვისის გამოყენების მაჩვენებელი დათვლილია ექსპორტიორი და იმპორტიორი კომპანიების ბაზაზე. ხოლო გამოუყენებლობის მიზეზები მოცემულია იმ კომპანიების ბაზაზე, ვინც განაცხადა, რომ არ იყენებს მოცემულ სერვისს.

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმება

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების უმნიშვნელოვანესი ნაწილია. საქართველოს მიერ გაფორმებული სხვა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებისაგან განსხვავებით, DCFTA გულისხმობს როგორც საქონლით, ისე მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზაციას. შეთანხმებაზე მოლაპარაკების პროცესი 2011 წლის დეკემბერში დაიწყო, ხოლო ამოქმედდა 2014 წლის 1 სექტემბრიდან.

მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების ამოქმედებიდან ერთ წელზე მეტია გასული, ქართული საწარმოები ამ ეტაპზე ნაკლებად სარგებლობენ ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით. გამოკითხული კომპანიების მხოლოდ 6% აცხადებს, რომ აღნიშნული შეთანხმებით გათვალისწინებულ სავაჭრო რეჟიმს იყენებს. მათი 60% დიდი ზომის შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოს წარმოადგენს. იქიდან გამომდინარე, რომ შეთანხმების გამოყენებისათვის საწარმოები გარკვეულ პირობებს უნდა აკმაყოფილებდნენ,¹⁹ გასაგებია მცირე ზომის ინდივიდუალური მეწარმეების ნაკლები ჩართულობა პროცესში.

გამოკითხული კომპანიების მხოლოდ 6% სარგებლობს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის რეჟიმით. ზოგადად, საწარმოებს შორის აღნიშნული რეჟიმის მიმართ ინტერესი ნაკლებია. კომპანიების 63%, ხოლო უშუალოდ ექსპორტიორი საწარმოების 46% აცხადებს, რომ DCFTA-ში მონაწილეობით დაინტერესებული არ არის.

DCFTA-ში მონაწილეობის დაბალი მაჩვენებელი ხელშეკრულების განხორციელების ძალაში შესვლიდან გასული მოკლე

პერიოდით შეიძლება ავხსნათ. თუმცა, ხელისუფლების მოლოდინებსა და იმედებთან გარკვეულ წინააღმდეგობაში მოდის ის ფაქტი, რომ რეჟიმის გამოუყენებლობის ძირითად მიზეზს საწარმოთა დაბალი ინტერესი წარმოადგენს. გამოკითხული კომპანიების 63% აცხადებს, რომ აღნიშნული სავაჭრო რეჟიმით დაინტერესებული არ არის. ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ ზოგადად, გამოკითხულ კომპანიებში ძალიან მცირეა ექსპორტით დაკავებული საწარმოები. თუმცა, თუ ექსპორტიორ კომპანიებს ცალკე გავანალიზებთ, ვნახავთ რომ მათი 70% არ იყენებს აღნიშნულ რეჟიმს და თითქმის ნახევარი (46%) არც არის ამით დაინტერესებული.

არსებული მდგომარეობის უცვლელობის შემთხვევაში რთული იქნება იმ მოლოდინების გამართლება, რაც DCFTA-ში საქართველოს ჩართულობას უკავშირდება. კერძოდ, საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ზრდა, საინვესტიციო მიზიდველობა, ახალი საწარმოებისა და საექსპორტო პროდუქციის გაჩენა. ამდენად, აუცილებელია დამატებითი კვლევა, რათა დადგინდეს ქართული ბიზნესის მხრიდან ინტერესის ნაკლებობის მიზეზები მოცემული საკითხისადმი.

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხულ კომპანიებს შორის საბაჟო სამსახურის მიერ შეთავაზებული სერვისების გამოყენების დონე არცთუ ისე მაღალია. თუმცა, გამოუყენებლობის მიზეზი მათი საჭიროების ნაკლებობაა და არა, მაგალითად, მათი მოუხერხებლობა. ძალიან მცირეა იმ გამოკითხული კომპანიების რაოდენობა, რომლებსაც იმპორტის ან ექსპორტის დროს პრობლემები შეექმნათ. თუმცა, ექსპორტის ხელშეწყობისათვის ასევე მნიშვნელოვანია ქართულ ექსპორტიორ კომპანიებს შორის გაიზარდოს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი ხელშეკრულების ფარგლებში შეთანხმებული სავაჭრო რეჟიმის შესახებ ინფორმირებულობის დონე.

რა შეიძლება შეიცვალოს და როგორ?

აღნიშნული დასკვნების საფუძველზე შეიძლება, გამოვყოთ საქმიანობის ორი მიმართულება. ერთი, რომელიც უშუალოდ შემოსავლების სამსახურის კონტროლის ქვეშაა და მეორე, რომელიც ამ კონკრეტული სამსახურის უფლებამოსილების სფეროს სცილდება.

